ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

29.10.2015 №210

თბილისი

სტუ-ს ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2015 წლის 29 ოქტომბრის #0301-7/107 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებელი დანართი №1-ით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 5 ნოემბერს და დასრულდეს 2015 წლის 12 ნოემბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სამდივნოში ყოველ დღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10^{00}-დან 17^{00}-მდე.) მის: სანდრო ეულის ქ. #5, საკონტაქტო პირი - გიორგი მუმლაძე, ტელ: 598 429 833).
3. არჩევნები ჩატარდება 2015 წლის 13 ნოემბერს.
4. განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) ინსტიტუტის პროფილით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) სამოქმედო პროგრამა.